


25

1883-1903



3-13 F 25

მწყამსი



ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ე ო ზ ი ლ ე ბ ა

ს ი ა,

საქართველოს ეკლესიის წმიდათა, რომელთა დღენი იდგესს წაუღებლად წინაგითა, ზეთის კურთხევითა და მარკალისებითა *).

ს ე ქ ე მ ბ ე რ ი.

13. წმიდისა დიდებულისა მთავარ-მოწამისა ქეთევანისა კახეთის დედოფლისა. ეს ქეთევანი იყო

აშოტის ასული, მფლობელის მუხრან ბატონისა, ცოლი კახეთის მეფის დავითისა. იწამა თავრიზის ქალაქსა შინა, ტყვეობის დროს დიდი შახ-ჰაბაზისაგან 1624-სა წელსა.

აქვს განსაკუთრებული ღვთის-მსახურება ზეთის კურთხევით.

15. წმიდათა შორის მამისა ჩვენისა აბიბო იოსებ ალავერდელისა. ეს იყო ერთ სირიელ 13 მამათგანი. წმ. აბიბო იოსებ ალავერდელი ქადაგებდა და განამტკიცებდა ქრისტიანობას კახეთის მთებში მე-VI საუკუნეში: მისი წმიდანაშთი დაკრძალულია კახეთში, თელავის მაზრაში, თვით წმ. ალავერდელისაგან აგებულ ტაძარში.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ზეთის კურთ.

16. წმიდათა მოწამეთა ძმათა იოსებ და ისააკისა. ამ წმიდათა ძმათა დაითმინეს წამება ოსმალთაგან 808 წელში ქალაქ ერზერუმში. განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება არ არის, მხოლოდ ტროპარს და კონდაკს უჩენს ჟამში.

18. წმიდათა მოწამეთა ბიძინა, შალვა და ელიზბარისა. პირველი მათგანი იყო თავადი კახეთისა ჩოლოყაშვილი, მეორენი კი ქართლის თავადი ერისთავები. ეწამნენ შაჰ-აბაზ II-ს დროს 1860 წ. სპარსეთში. მათი წმიდანაშთნი დაკრძალულნი არიან იკორთის მონასტერში (გორის მაზრაში).

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ზეთის კურთ.

30. წმიდათა მოწამეთა რიპსიმე და გაიანესი, წმიდა ნინოს თანამგზავრთა. ეწამნენ 314 წ. მეფე ტირიტატისაგან.

განსაკუთრებით ღვთის-მსახურებას არ უჩენს.


80

80



ქეთევან წამებული.

*) აქვე მოგვყავს სახე ამა წმიდათა, რომელნიც ჩვეუბრივად იხატებიან ჩვენს საქართველოს ეკლესიებში. რედაქტორი.



ა ქ ტ ა მ ბ ე რ ა.

1. ხსენება ცხოველს-მყოფელი სვეტისა და მის ქვეშ შენახული კვართისა ქ. მცხეთაში. ღირსი მირიანის მეფობის დროს მე-IV საუკუნეში, მისგან ქრისტიანობის მიღების შემდეგ. უმაღლესი ჩვენებით, რომელიც წმ. ნინომ იხილა, იქმნა მოჭრილი კვიპაროსის ხე, რომელიც სიდონიას საფლავზედ ამოვიდა, როდესაც იგი უფლის კვართით ხელში გარდაიცვალა იმ ადგილას; კვართი კი მოუტანა მისმა ძმამ, რომელსაც იგი ერგო ქრისტეს ჯვარ-ცმის დროს. სიკვდილის შემდეგ სიდონია დამარხულ იქმნა კვართით, რადგან ვერაფერი ძალღონით ვერ გამოართვეს იგი გარდაცვალებულს. იმ ხის ექვს კუთხიანი ტოტებისაგან გააკეთეს ექვსი სვეტი, — თვით ხისაგან კი — ერთი სვეტი. ყველა ბოძი დადგეს მონიშნულ ალაგებზედ, მხოლოდ მეშვიდე ვერ დასძრეს ადგილიდან. ეს სვეტი სასწაულებრივ იქმნა აწეული წმ. ანგელოზთაგან და დასობილ იმ ადგილას, სადაც სიდონია იქმნა დაკრძალული კვართით; იმ დღიდან იმ ადგილას დაიწყო დენა წმ. მირონმა. უკანასკნელად ეს წმ. მირონი ამოდინდა მე-XIX საუკ. მე-20 წლებში.

განსაკუთრებით ღამის თვეთი ღვთის მსახურება.



მთავარ. მოწ. დავით და კონსტანტინე.

2. წმიდათა დიდებულთ მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინესი, არგვეთის მთავართა. ეს წმიდა მთავარი, გვარად მხეიძენი, ეწამენ მურვან ყრუსაგან ქ. ქუთაისში 740 წ. მათი უხრწნელნი ნაწილნი განისვენებენ მოწამეთის მონასტერში, 5 ვერსის მანძილზედ ქალაქ ქუთაისიდან.

განსაკუთრებითი ღამის თვეთი ღვთის-მსახურება.

5. ღირსისა და ღვთის მოსავი მამისა ჩვენისა გრიგოლ ხანდღოელისა. მიიღვალა 961 წელსა, იყო ხანდღოის ქართველთ მონასტრის წინამძღვრად, შატბერისად წოდებულისა (დასავლეთ საქართველოში).

ტროპარს და კონდაკს ჟამში უჩენს.

28. წმიდისა მოწამისა ნეოფიტესი, ურბნისის ეპისკოპოსისა. ჯარის წინამძღოლი ხალიფ მუმნიან ამარისა, რომელიც საქართველოში გამოგზავნის დროს შეხვდა ღირს შიოს და მიიღო ქრისტიანობა 589 წელში, აღიკვეცა ბერად და ღირსი შიოს საგანედგან იქმნა დადგენილ ურბნისის ეპისკოპოსად. ეწამა მე-VI საუკ. დასასრულს. ნაშთი წმიდანისა დაკრძალულნი არიან შიო-ნღვიმის მონასტრის უმთავრესს ტაძარში.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ზეთის კურთ.



წმ. მოწამე ნეოფიტე.

ნ ა ე მ ბ ე რ ა .

10. წმ. დიდებულისა მოწამის თავად კონსტანტინესი და ხსენება წმ. მთავარ მოწამის გიორგი ძღვეა-მოსილის ურმის თვალზე გვემისა. წმ. კონსტანტინე, ქართველი თავადი, ეწამა 842 წ. ქ. ბაღდადში ემირ ჯაფარისაგან.— გიორგობის დღესასწაული დადგენილია წმ. ნინოს გარდაცვალების შემდეგ. განსაკუთრებით ღვის-მსახურება.



წმ. მოწამე თავადი კონსტანტინე.

17. წმ. მოწამის გობრონ-მიქელისა და 133 მეომართა მისთა. წმ. მოწამენი იტანჯენ ემირ აბულ-ქასიმისაგან 920 წ. განსაკუთრებით ღვის-მსახურება.

19. ღირსისა და ღვთის მოშიში მამისა ჩვენისა ილარიონისა. ეკუთნოდა თავად ვანნაძეთა გვარს, განთქმული იყო წმიდა ცხოვრებით და სასწაულებით ოლიმპის მონასტერში საბერძნეთში, მიიცვალა 882 წ. მისი წმიდა ნაშთნი გადატანილ იქმნენ სოლუნიდან კონსტანტინეპოლში ბიზანტიის იმპერატორისაგან (ვასილ მაკედონელისაგან) და დაკრძალულ იქმნენ წმიდა მოციქულთა ტაძარში. განსაკუთრებით ღვის-მსახურება ზეთის კურთხევით.



ღირსი მამა ილარიონი.

29. წმიდა მღვდელ-მოწამისა აბიბო, ნეკრესის ეპისკოპოსისა. ერთი სირიელ მამათაგანი (IV ს.) მღვდელ-მთავრობდა კახეთში, დაჭე-



წმ. მღვდელთ-მოწ. აბიბო.



რილ იქმნა ცეცხლის თაყვანის მცემელ სპარს-
თაგან და გაგზავნილ სპარსეთის მთავარ-მარ-
თებელთან ქართლში, სადაც აწამეს. მისი
წმიდა ნაშთნი დაკრძალულ არიან მცხეთის
დედათა მონასტრის უმთავრესს ტაძრის ტრა-
პეზ ქვეშ.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ზეთის კურთ-
ხევით.

დ ე ტ ე შ ბ ე რ ა

2. წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ისე (იასე),
წილკნის ეპისკოპოსისა. ერთი თანამგზავრთა-
განი ღირსი იოანე ზედაზნელისა, მღვდელ-
მთავრობდა წილკანში. მისი წმიდა ნაშთნი
დაკრძალულ არიან წილკნის ტაძარში, მცხე-
თის მახლობლად (დუშეთის მაზრაში).

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ზეთის კურთ-
ხევით.

ი ა ნ ვ ა რ ა.

8. წმ. დიდებულ მოწამე აბო თბილელისა. ჩამო-
მავლობით იყო არაბი, გაქრისტიანებული, რის-

თვისაც იქმნა დამწვარი მაჰმადიან სპარსთაგან
ქ. თბილისში 790 წ. წმ. აბოს წამების აღ-
გილას კლდეში მოთავსებულია პატარა სამ-
ლოცველო. ავლაბრის მეორე ხიდის თავში.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ზეთის კურთ-
ხევით.

14. წმ. მოციქულთ სწორის ქართველთ განმა-
ნათლებელი ნინო კაბადოკიელისა. ასული ზა-
ბულონისა და სუსანასი, ძმის წული და მო-
წაფე იერუსალიმის პატრიარქისა—იუბენალი-
სა, მოვიდა საქართველოში 317 წ. და მიიღ-
ვალა 337 წ. სოფელ ბოდბეში, (სიღნაღის
მაზრაში). მისი წმ ნაშთი დაკრძალულია
ბოდბის დედათა პირველი კლასის მონასტრის
უმთავრეს ტაძარში. მისი ხსენება ივერიის
ეკკლესიისაგან რამოდენიმეჯერ იღვესასწა-
ულებოდა.

განსაკუთრებითი ღვთის-მსახურება ღამის თევით.



აბო თბილელი.



წმ. მოციქულთა სწორი ნინო.

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 4

1883—1903

28 თებერვალი

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ოფიციალური განყოფილება: სია საქართველოს ეკლესიის წმიდათა, რომელთა დღენი იღვესასწაულებიან წირვითა, ზეთის კურთხევითა და პარაკლისითა.

სალიტერატურო განყოფილება: იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15 დეკემბერს 1902 წ.—ავადმყოფების სახელების მოხსენება წირვაზედ ხმა-მალლა. მღ. სერგი მაჭარაშვილი.—ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან იღვესასწაულობითი წირვა შიომღვიმის მონასტერში 21 თებერვალს, 1902 წ. ყველიერის ხუთშაბათს. დეკ. დ. ღამბაშიძე.—მაცხოვარს (ლექსი), ჭიხობრო გელოვანი.—„მწყემსის“ კორრესპონდენცია. მღ. ექ. მაისურაძე.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიერება ძრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ჯანმრთელობაზე: სიტყვა, თქმული 14 იანვარს ტფილისის კათედრის სიონის ტაძარში, დეკ. მარკოზ ტყემალაძის მიერ.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში 15 დეკემბერს 1902 წ.

(გაგრძელება *)

დეპუტატებმა თითქმის ერთი დღე მოანდომეს ქალების სასწავლებელთან პანსიონის სახლის აშენების საქმის განხილვას. „მწყემსი“-ს მკითხველებმა უკვე იციან, რომ წარსულ წელში სამღვდლოებამ

თავის მხრით აღიარა კომიტეტი, რომელსაც მათი მეუფებისაგან დანიშნულ პირებთან ერთად უნდა გაეისინჯათ ადგილი და შეეკრიბათ ყოველივე პანსიონის სახლის აშენებისათვის საჭირო ცნობები. ამ დანიშნულმა პირებმა ერთად—ქალების სასწავლებლის საბჭოსა და ექიმ ბ. ლორთქიფანიძისა, ბ. ს. ბ. თოფურისა და ხუროთ-მოძღვართან, გასინჯეს ადგილი და შესაძლებლად დაინახეს სახლის დადგამა იმ ადგილას, სადაც დღეს არის სანთლის ქარხანა. ეს ადგილი ექიმთა შემოწმებით თუმცა ნოტიოა,

*) იხ. „მწყემსი“ № 3, 1903 წ.



მაგრამ სხვა-და-სხვა ზომის მიღებით, შეიძლება მასზე სახლის აშენებაო. ვარაუდით ეს სახლი დაჯდება ოთხმოცდა თხუთმეტი ათასი მანეთით. ამისთანა ფასის შენობაში შეიძლება მხოლოდ ას სამოცი მოსწავლის დაბინავება და თითოეულ მოწაფეს წელიწადში დასჭირდება არა ნაკლებ თოთხმეტ-თხუთმეტი თუმნისა. სამღვდლოებამ კი წარსულ წელში გარდასწყვიტა 35 ათასი მანეთის შეკრება და ბევრიც რომ ვსტკვათ, ორმოცი ათას მანეთზე მეტს ვეღარ შეიტანს. დიდი ხნის ბაასის შემდეგ, დეპუტატებმა გარდასწყვიტეს პანსიონის სახლის აშენებას თავი დაანებონ, ხოლო ფულები კი იკრიბებოდეს ექვს წლამდე სამღვდლოებისაგან და ეს შეკრებილი ფულები სამღვდლოების განკარგულებაში დარჩეს. იყვნენ რამდენიმე პირნი, რომელნიც ურჩევდნენ დეპუტატებს, რომ შემოგერთებით გურია-სამეგრელოს სამღვდლოებაც ქალების სასწავლებელში. ამ შემოერთებით, ჰუიქრობენ ზოგიერთები, 90 ათასი მანეთის შეკრებას პანსიონის სახლის ასაშენებლად. მაგრამ დღეს-დღეობით ეს სასწავლებელი არა თუ გურია-სამეგრელოს სამღვდლოებას, არამედ მარტო იმერეთის ეპარ. სამღვდლოებასაც ვერ აკმაყოფილებს. ამასთან ავიწყდებათ ზოგიერთებს ისიც, რომ აქ კითხვა არის აღძრული მარტო პანსიონის სახლის აშენებაზე. უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ამ სახლში სახელმწიფო ხარჯით კი არავინ იქნება მიღებული, არამედ თავიანთ ხარჯით უნდა იცხოვრონ მოსწავლეებმა და მათვე უნდა იხადონ მოსამსახურეთა შესანახავი ხარჯიც. ამიტომ არის გამოანგარიშებული წელიწადში სრულ ხარჯზედ თხუთმეტი თუმანი. თხუთმეტი თუმანი, მართალია, ბევრი კი არა არის რა, მაგრამ მერწმუნეთ, ზოგიერთი მოსწავლეების მშობლები ამას ვერ გადიხდიან. ძლიერ კარგად გვახსოვს ის დრო, როცა სასწავლებელში ორი თავისუფალი ოთახი მოაწყო ქალბატონმა ვარდოსანიძემ და მზად იყო რვა მანეთად მიეღო მოსწავლეები თვეში, მაგრამ ერთი მსურველი ვერ იშოვა მოწაფეებში. იმ დროს აქეთ დღემდის დიდი ნივთიერი ცვლილება არა მომხდარა რა. მართალია, ზოგიერთები თვეში თუმანსაც იძლევიან მოსწავლეთა შესანახავად, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ამ თუმანს მხოლოდ რვა თვეში იხდიან ისინი და დანარჩენ დროს შინ არის ბავშვი. ესეც ანგარიშია. ზო-

გიერთები ბევრს სწერენ და ქადაგებენ იმაზე, რომ სასწავლებლის შენობები, პანსიონები და ყველა მორთულობა სასწავლებლების დიდი, ფართო და მშვენიერი უნდა იყოსო, მაგრამ ავიწყდებათ, რომ საშუალება არ არის და სიღარიბე წინ გველოდება. ამასთან ისიც ავიწყდებათ ზოგიერთებს, რომ კარგად აღზრდა ბავშვისა და სწავლის წინ წაწევა დიდ სასახლეებზე არ არის დამოკიდებული... ჩვენი შეილება, სიღარიბეს მიჩვეულნი, ჯერჯერობით კმაყოფილნი იქმნებიან იმითაც, რაცა აქვთ. ზოგიერთებს მაინცა-და-მაინც ეჩქარებათ, რომ იმისთანა სახლები გამოვჭიმოთ, როგორც ააშენეს ქალებისა და ვაჟების გიმნაზიათათვის. მათ ავიწყდებათ, რომ ეს დიდებული სახლები ასე უცებ არ არიან აშენებული და ამასთან მათ ფულების წყაროებიც სულ სხვა აქვთ. რამდენი ხანი იცადეს, რომ ამისთანა კარგი შენობები აეგოთ? ზოგიერთებს დიდი იმედი აქვს ეკკლესიებისა, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჩვენი ეკკლესიები სულ სხვაა და რუსეთის ეკკლესიების წაბძვა არ შეუძლიათ. იქ თითო ეკკლესიას ადვილად შეუძლია გადაიხადოს 500—1000 მანეთი და ჩვენში კი, უსაჭიროეს ნივთების სასყიდლად არ იმექონება ფულები. არის რამდენიმე ეკკლესია, რომელსაც აქვს ცოტაოდენი ფული, მაგრამ ეს ყველა ხარჯზე გადანარჩენი ფულები კი არ არის. ამისთანა ფულიან ეკკლესიებს არა აქვთ ხშირად მღვდლის სადგომი, არა აქვთ ზარები და ყველა საჭირო ღვთის-მსახურებისათვის წიგნები; ეკკლესიის შიგნივ მორთულობა და შესამოსლები ისეთებია, რომელთაც რუსეთის ზოგიერთ შეძლებულ ეკკლესიებში აღარც კი იხმარებდნ...

ჩვიდმეტს და თვრამეტს დეკემბერს, სამღვდლოების დეპუტატებს ჰქონდათ მსჯელობა უწმიდესი სინოდის უქასზედ, რომელიც მიღებული იყო 19-ს ნოემბერს, 1899 წელსა № 7431, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოს სახელზე. ამ უქასით ითხოვებოდა სასწავლებლის მთლად კაპიტალური გადაკეთება და სამმართველოსაგან აზრი სასწავლებლის გაყოფის შესახებაც. სამღვდლოების კრებამ 1900 წელში, დეკემბრის თვეში, ამ უქასისამებრ მსჯელობა შემდეგი კრებისათვის გადასდო. შემდეგ კრებაზედაც ვერ აგო პასუხი კრებამ და დარჩა ამ უკანასკნელ დრომდე სამღვდლოებისაგან პასუხ გაუცემელი. მეტი გზა არ იყო სამ-



დღედლოების კრებას ეხლა მაინც უნდა გამოეთქვა თავისი აზრი და ერთ-ერთ გადაწყვეტილებას დადგომოდა. ამ უქაზით სამღვდლოებისაგან ითხოვებოდა, თუ რა შეუძლია მას თავის საშუალებიდან გამოიღოს სასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სურს, რომ სასწავლებელი გაიყოს თუ არა? მასთან ვალად ედგინება სამღვდლოების კრებას, რომ კრების გარდაწყვეტილებანი უნდა იყენენ დაფუძნებულნი ჯეროვან საბუთებზე და არა მარტო ლიტონ სიტყვებზეო. თავსმჯდომარემ ჰკითხა დებუტატებს, თუ ვის სურდა ამ საგნის შესახებ სიტყვის თქმა, მაგრამ ყველა ამას ამბობდა: ღარიბი ვართ და არ შეგვიძლია ზედ-მეტე ფულის გადახდა იმაზე მეტის, რასაც დღეს ვიხდითო. ბოლოს თავმჯდომარე დაპირდა კრებას, რომ იგი მოიყვანს ყოველგვარ საბუთებს და აღნუსხავს იმ მიზეზებს, რომლის გამო სამღვდლოებას აღარ შეუძლია კიდევ მეტი გარდაიხადოს სასწავლებლის გადასაკეთებლად. ჩვიდმეტ რიცხვს საღამოს ამ ბაასის შემდეგ დაიხურა კრება.

18-ს გაიხსნა თუ არა კრება, თავმჯდომარე დაუბრუნდა ისევ იმ კითხვას, რომელიც აღძრული იყო წინა ღამეს. თავმჯდომარემ წაიკითხა მოსაზრებანი, რომელიც ჟურნალში იყო მოყვანილი. აი ეს მოსაზრებაც: «სწორედ სამი წელიწადი სრულდება მას აქეთ, რაც ეს უწმიდესი სინოდის უქაზი არის მიღებული და თითქმის ყოველთვის კრებაზე სამღვდლოების დებუტატები მეცადინობენ მის აღსრულებას, მაგრამ სამწუხაროდ, სამღვდლოების დებუტატებმა ვერა შესძლეს რა, რომ ამ უქაზისამებრ რაიმე ცვლილება მოეხდინათ და გაეუმჯობესებიათ ეკონომიურად მდგომარეობა როგორც შეგირდებისა, ისე სასწავლებლისა. იმერეთის სამღვდლოება ღარიბია და ნივთიერი შეძლება არა აქვს. მართალია ამ უკანასკნელ დროს დაენიშნათ ჯამაგირი—მღვდელს 300 მანეთი და მედავითნეს 100 მან. მაგრამ უმრავლესობა ჯერ მოკლებულია ამ მცირე ჯამაგირსაც. იგი (სამღვდლოება) ინახავს ადგილობრივი საშუალებით სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლის ნორმალურ და პარალელურ კლასებს და ექვს კლასიან ქალების სასწავლებელს; ამავე საშუალებიდან იხარჯება სასულიერო სემენარიისათვის შვიდი ათას მანეთზე მეტი, ამავე საშუალებიდან ინახება კათ. საკ. ტაძარი, ეპარ-

ქის კანცელარია და თვით ეპარ. მღვდელთ-მთავარიც იღებს ჯამაგირს, როდესაც ამისთანა დაწესებულებათ რუსეთის სხვა ეპარქიებსა და ადგილებში სახელმწიფო ხაზინა ინახავს. ძველ დროში კეთილმორწმუნე ქართველ მეფეთა და თავად-აზნაურთაგან შეწირული იყო ეკლესიების და მონასტრების საზრდოდ და სასარგებლოდ მრავალი ადგილ-მამულები. ეს ადგილ-მამულები ჩამოართვეს უდაბნოებს და ეკლესიებს და ყოველ წლობით ამ მამულებისათვის ხაზინიდან სასულიერო წოდებას ეძლევა 30,000 მანეთი*).

*) აქ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა განმარტების მოყვანა, რადგან უამისოდ ბევრი ვერ გაიგებს ჟურნალში მოყვანილ „ადგილობრივ საშუალები“ სიტყვების მნიშვნელობას. ყველამ იცის, რომ ძველი დროიდან როგორც ჩვენ მეფეთაგან, ისე სხვა ქველ-მოქმედ ქრისტიანეთაგან—თავად-აზნაურთაგან, დიდი ადგილ-მამულები იყო შეწირული მონასტრებისა და ეკლესიების სასარგებლოდ. სასულიერო წოდება ამ მამულების წყალობით საზოციელო მთავრობის დამოუკიდებლად სცხოვრებდა და განაგებდა ყოველივე თავის საქმეს. იცის ყველამ, თუ როგორ ცხოვრებდნენ მონასტრებში და რამდენი ეპარქია არსებობდა საქართველოში ამ მამულების წყალობით. წინეთ ამ მამულების საქმეს თვითონ მონასტრები და მათივე პატრონი სამღვდლოება განაგებდა. მაგრამ ბოლოს ამ მამულების მართვა-გამგეობა სრულებით შეიცვალა. ყველგან საეკლესიო მამულების მმართველებად ინიშნებოდნენ ადგილობრივის მღვდელ-მთავრისაგან ბლადჩინები და ზოგიერთი დეკანოზები. საეკლესიო მამულებისაგან ამ მმართველების წყალობით ძლიეს-ძლივობით შემოდიოდა თორმეტი ათას მანეთამდე იმერეთის ეპარქიას. როგორ იცემოდა საეკლესიო მიწები იჯარით და რამდენი ადგილები დაეკარგა ამ მმართველობის დროს ეკლესიებს და მონასტრებს, ეს ღმერთთან უწყის! მაგრამ ამ მმართველებს თუ აჯილდოებდნენ, თორემ არას ეუბნებოდნენ!.. უკანასკნელ დროს აღიძრა კითხვა ამ მამულების სახაზინო უწყებაში გადაცემისა და ყოველ წლობით, იჯარის ფულების შეფასებით, სასულიერო წოდებას უნდა მიეღო განსაზღვრული თანხა. იმერეთის ეპარქიის საეკლესიო მამულებისათვის ყოველ წლობით ოცდაათი ათასი მანეთი შეაძლიეს, სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო მამულებში—20 ათასი მანეთი, ქართლ-კახეთის საეკლესიო მამულებში—60 ათასი მანეთი. ყველა მღვდელთ-მთავრებზე, რომელთა დროსაც მოხდა ამ მამულების გარდაცემა სახაზინო უწყებაში, უფრო შორს-გამჭვრეტელობა და საეკლესიო მამულებზე მეტი მზრუნველობა გამოიჩინა მაშინდელმა ექსარხოსმა ისიდორემ. ის დათანხმდა მთავრობის წინადადებაზე—მამულების სახაზინო უწყებაში გადარიცხვაზე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ მეტი ფასი დაედგას შემდგომი მამულებს, მთავრობამ უნდა მოუმატოს დღევანდელ დანიშნულ ფულის რაოდენობასა. იმერეთში და გურიაში კი, პა-

ყველა ზემოაღნიშნული მართებლობის დაწესებულებანი და სასწავლებლის ნორმალური კლასები, არსებობენ სახელმწიფო ხაზინის ფულით. იმერეთის ეპარქიაში კი, ამ რუსეთის ერთ-ერთ დაშორებულ განაპირა ადგილას, სახელმწიფო ხაზინის საშუალებით არც ერთი ამისთანა დაწესებულება არ ინახება. ამისათვის იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა, ეპარქიის სანთლის ქარხნის შემოსავალს, რომელიც სასწავლებლებზე უნდა იხარჯებოდეს, ორი ათას ხუთას მანეთს ხარჯავს ესრედ წოდებულ იმერეთის საეკლესიო ხაზინის ნაკლის შესავსებლად. თუ ეს დაწესებულებანი სახელმწიფო ხაზინის ფულით არ იქმნებიან შენახულნი, იმ შემთხვევაში დღეს დღეობით სამღვდელთა არა აქვს შეძლება, რომ ოთხკლასიანი სასწავლებლის და შეგირდების ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უმეტესად გააუმჯობესოს ან გაჰყოს იგი. მას ე. ი. სამღვდელთა ერთადერთი საშუალება ექნება დარჩენილი და ეს საშუალება მდგომარეობს მასში, რომ ყველა მოსამზადებელი კლასები დახუროს და ის ხარჯები, რაც მათზე მიდის, სასწავლებელს დაახმაროს და ამის შეძლებისა და გვარად გააუმჯობესოს სასწავლებლის მდგომარეობა.

რაკლისები გარდაიხადეს იმ გუბერნატორების სადღეგრძელოდ, რომელთა დროშიაც გათავდა ამ მამულების სახაზინო უწყებაში გადაცემა და ჯილდოც ბევრმა მიიღო კეთილად საქმის დამთავრებისათვის!

ერთის მხრით რომ სთქვას კაცმა, მართლაც ბევრი მამულები დაეკარგებოდა სასულიერო უწყებას, რომ კიდევ დიდხანს დარჩენილიყო ამ ჩვენ მმართველების ხელში მამულები; მაგრამ ვისი ბრალი იყო, რომ ამისთანა უვარგის მმართველებს ნიშნავდნ და ასე გულ-გრილად ეკიდებოდნ უხვად ჩვენ წინაპართაგან მონასტრებისა და ეკლესიების სასარგებლოდ შეწირულ მამულებს? აქ კიდევ ბევრი რამ გვაქვს სათქმელი ჩვენი საეკლესიო მამულების მმართველებზე, მაგრამ არა გამოვა რა ამ თქმისაგან და აღარას ვიტყვი. ბევრი ვსთქვით თავის დროზე ადგილობრივსა და სატახტო ქალაქის გაზეთებშიაც, მაგრამ წამხდარ საქმეს აღარა ეშველა რა, მტრები კი გავიმრავლეთ!..

აი ამ მამულებისა გამო ხაზინისაგან გადებულ ფულს—ყოველ წლობით ოც-და-ათი ათას მანეთამდე,—ჩვენში უწოდებენ სახაზინო ფულს და ამ შემოსავლიდან ეძლევათ ჯამაგირი კათედრის ტაძრის კრებულს, ადგილობრივი ეპარქიის მთავრობას, მის კანცელარიას, სასწავლებლებს და ცოტადენიც მონასტრებს. სხვაგან კი, მაგალითებრ აფხაზეთის, ვლადიკავკაის და რუსეთის მრავალ ეპარქიებში სახელმწიფო ხაზინიდან ეძლევათ...

სამღვდელთა კრებამ ზემომოყვანილ მოსახრებაზე დაამყარა თავისი განაჩენი და ითხოვა შუამდგომლობის აღძვრა უწმიდესი სინოდის წინაშე, რომ ნორმალური კლასები სასწავლებლისა და ზამთველილნი მთავრობის დაწესებულებანი შეინახოს სახელმწიფო ფულით ხაზინიდან, ხოლო ადგილობრივი საშუალებანი დახმარდეს სასწავლებლებს.

დამსწრე.

(შემდეგი იქნება)

ავადმყოფების სახელების მოხსენება წირვაზედ სმა-მადლა.

თანამედროვე პრაქტიკა რუსეთის ეკლესიისა გვიჩვენებს ჩვენ, რომ ავადმყოფების მოხსენება წირვაზედ ხალხის გასაგონად, ბევრს აუცილებში ითვლება ეხლა ჩვეულებრივ საქმედ. ეს ჩვეულება არ არის თავისნებითი ახლად-შემოღებული, არამედ, რასაკვირველია, დაფუძნებულია იმ ზეპირ-გადმოცემაზედ, რომელიც რუსეთის ეკლესიამ სიწმიდით მიიღო საბერძნეთის ეკლესიისაგან და რომელსაც უცვალელოდ ინახავდა. ამ შემთხვევაში დიდად შესანიშნავია კიევის ლავრის მაგალითი, რომელიც დღიდან თვისის დაარსებისა მტკიცედ იცავდა ათონისა და კონსტანტინეპოლის მონასტრებიდან შექმნილს წესდებულებას. ხსენებულს ლავრაში თითქმის თითოეულს წირვაზედ სრულდება ავადმყოფების მოხსენება ხალხის გასაგონად. ამ მონასტრის მაგალითს ჰბაძავენ კიევის ყველა ეკლესიების მღვდელ-მსახურნი, როდესაც კი არის ამის საჭიროება. არა თუ მხოლოდ დიდად სამართლიანი და წესიერია ავადმყოფების ამისთანა სურვილის დაკმაყოფილება, არამედ ჩვენის აზრით, სასარგებლოც იქნება, მოძღვარმა შთააგონოს თავისს მრევლს, რომ მათ ავადმყოფობის დროს პირველად ყოვლისა მოძღვარს მიმართონ და მოძღვარიც ავადმყოფებს წირვაზედ ხალხის გასაგონად მოიხსენებს. ექვს გარეშეა, რომ ყოველი სწეული დიდის სიხარულით ისურვებს ეკლესიის წმიდა ლოცვებს და მღვდლისთვისაც დიდ შრომას არ შეადგენს წირვაზედ ავადმყოფი მოწა-



ფის მოხსენება. ხოლო უკეთეს ეს საქმე ჩვეულებად გარდაიქცა ჩვენს ეკკლესიაში, დიდ სარგებლობას აღმოუჩინეს მღვდელს მისს სამღვდელთ-მოქმედო საქმეებში, განსაკუთრებით იქ, სადაც წირვა ხშირად სრულდება. ეს შემთხვევა კეთილ-დროებითად შეატყობინებს მღვდელს თავის მოწაფის ავადმყოფობას და წესიერს მოძღვრულს მზრუნველობას და საშუალებას აღმოაჩინებს მისთვის. ხალხს ძლიერ ცუდი ჩვეულება და შეხედულება აქვს ავადმყოფის ზიარებაზე. მხოლოდ მაშინ მიიწვევენ მოძღვარს, როდესაც სნეულის მორჩენის იმედი აღარ აქვთ. ამისთანა დროს რაღას მოასწრებს მღვდელი! იგი დროს უმეჭონლობისა გამო, იძულებულია სნეულს მოკლე აღსარება ათქმევინოს და ჩქარა აზიაროს იგი. ეს ასე აღარ იქმნებოდა, უკეთეს მღვდელი კეთილ-ქამირად გაიგებს ავადმყოფის მდგომარეობას. მაშინ იგი აღჭურვილი თავისი მოძღვრული მოკალეობით, მიუწოდებლადაც ნახავს ავადმყოფს და თავისი კეთილ-დროებითი მოძღვრებით და დარიგებით, შთააგდებს მას გულწრფელს სინანულში და ღირსეულად აზიარებს. თუ ეს ჩვეულება შემოვიდა, სხვა რიგადაც არის იგი სასარგებლო. ბევრი დახმარება შეუძლია მოძღვარს სნეულის ხორციელად განკურნებისათვისაც, განსაკუთრებით იქ, სადაც ხალხი მოკლებულია სამკურნალო სწავლა-დარიგებას და ნასწავლ ექიმთა შემწეობას. ჩვენი უბრალო ხალხი, განხდება თუ არა ავად, რიგიან საშუალებას და ზომებს ვერ ხმარობს სნეულის მოსარჩენად. მან არ იცის ავადმყოფის მოვლა: სქამს ყოველივეს, რასაც კი მისი გულ-შემატკივარი ნათესავები და ნაცნობები მიაწოდებენ; ხან-და-ხან მკითხავენსაც მიმართავს ხოლმე და იმათ საზარალო და დამღუბველს რჩევას ასრულებს. თუ კი კეთილ-დროებითად ამისთანა ავადმყოფს მღვდელი გაუჩინდება, ექვს გარეშეა, რომ დიდ შემწეობას აღმოუჩინეს მას, ადვილი შესაძლოა საშუალებაც ასწავლოს სნეულს მორჩენისათვის; მით უმეტეს, რომ უბრალო ხალხი თითქმის ჩვეულებრივი, უბრალო სნეულებით ხდება ხშირად ავად და ამიტომ მათი მორჩენა, თავდაპირველადვე შეიძლება უბრალო, შინაური საშუალებებითაც, რომელიც კარგად ეცოდინება ნასწავლ მღვდელს. უბრალო ნახვაც სულიერი მოძღვრისა, მისი მამობრივი და ნუგეშით სავესე საუბარიც კი არ დარჩება სნეულისათვის უნაყოფოდ და უსარგებლოდ.

რაიცა შეეხება დროს, თუ როდის უნდა მოიხსენოს მღვდელმა ავადმყოფების სახელები წირვაზედ, საჭირო არ არის ეს შეასრულოს ორჯელ, ესე იგი წირვის თავში დიდს კვერექსზედ და სახარების წაკითხვის შემდეგ „ვსთქვათ ყოველთა“-ზე, საკმაოა და წესიერიც ერთჯელ და სახელდობრ: „ვსთქვათ ყოველთა“-ზე; ეს მისთვის, რომ დიდს კვერექსზედ მეთე თხოვნაში უკვე არის ლოცვა „სნეულთათვის“ და ამას გარდა მისთვისაც, რომ წირვის წესის და მოთხოვნის თანახმად, მიცვალებულების მოხსენება სრულდება „ვსთქვათ ყოველთა“-ს შემდეგ; ამის წინ უნდა შესრულდეს ავადმყოფების მოხსენებაც. ამნაირადვე სრულდება ეს კიევის ლავრაშიაც, სახელდობრ „ვსთქვათ ყოველთა“-ს ბოლოში ასამაღლებელის თქმამდე: „რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ“... მიემატება თხოვნა: „მერმეცა გვევლერებით მშვიდობისათვის სნეულთა მონათა ღვთისათა“... *)

მღ. სერგი მაჭარაშვილი.

*) ბევრი რამ კარგი ჩვეულება ჰქონდა საქართველოს ეკკლესიას როგორც თავისი, ისე საბერძნეთის ეკკლესიიდან მიღებული, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს სამღვდელოებამ დაივიწყა იგი. ჩვენ თვითონ გვანსოვს ის დრო, როცა ლიტანიის დროს ეკკლესიის დასავლეთის კარებთან შემოსილი მღვდელი დალოცავდა ხელმწიფეს, ყველა წოდების ხალხს და ბოლოს ავადმყოფებს, აგრეთვე დალოცავდა მთელი ხალხი ყოველ შემწირველთ, მაგრამ დღეს სემენარიის განათლებაში მოსპო ყველა ამისთანა ხალხის ჩვეულებანი, ვითომ როგორც შეუფერებელი!.. იცის ყველამ, თუ რა მოწიწებით და სასოებით ითხოვდნ ზეთის კურთხევას სნეულთა ზედა, მაგრამ ეს ჩვეულებაც ზოგიერთი „განათლებული“ მღვდლების წყალობით დღეს დიდ საჭიროდ აღარ მიაჩნია ხალხს.

ზიარებაზე თუ ცუდი შეხედულება სუფევს ხალხში, ესეც ჩვენი ბრალია, რადგან დღემდე ვერ ჩაუგონებიათ ხალხისათვის ნამდვილი ჭეშმარიტი აზრი სნეულთა ზიარებისა. ზიარების დროს გასაგონად წაუკითხეთ ყველა ის ლოცვები, რაც ტიბიკონით დაწესებულია, წინდაწინ განუმარტეთ კარგად ყოფნის დროს მნიშვნელობა ზიარებისა და თქვენ დარწმუნდებით, რომ მას ზიარების არ შეეშინდება სნეულების დროს. მოძღვრისაგან ზიარების კარგად განმარტების შემდეგ სნეული დარწმუნდება, რომ ის ეზიარა არა იმისთვის, რომ უთუოდ უნდა მოკვდეს, არამედ მისთვის, რომ იგი განიკურნოს ხორციელად და სულიერად... რედ.

ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის
 ლეონიდი სავან დღესასწაულობითი წირვა მი-
 მღვიმის მონასტერში 21 წარსულ თებერვალს,
 ყველიერის ხუთშაბათს.

(გაკრძელება *)

ყველა ხატები იკონოსტასში ჩუქურთმული
 ხელოვნებისაა და მოხატული არიან ფიცარზედ;
 ტაძრის მხატვრობა ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდი-
 ლებას ახდენს ადამიანზედ. მაგრამ სამწუხაროდ,
 სინოტიავისა გამო, ზოგიერთ ადგილებზედ საღე-
 ბავი მოცილებია კედელს. ქართველთ ეკლესიის
 წმინდანთა სახეები ამოღებულია საბინისის წიგ-
 ნიდან — „საქართველოს სამოთხე“, წმ. გიორგის
 და წმ. ნინოს სახეები და სხვა სამშენებლები გად-
 მოღობული არიან თბილისის სიონის საკათედრო
 ტაძრის მხატვრობიდან. ასეთია წინა ნაწილი
 ტაძრისა, უკანასკნელი კი, რომელიც ძველ მოშე-
 ნებულ შენობას შეადგენს, მხოლოდ შედგებილია,
 თაღები შედგებილია მტრედის ფრად და მოფენი-
 ლია ვარსკვლავებით. კედლები ტაძრისა ბალავ-
 რამდე შედგებილია მარმარილოს ფრად; იატაკი
 ეკლესიაში ტამეტისაა ცემენტით ნაკეთები და
 საკურთხეველში აგურის. ამ ტაძარში, გარდა წინ-
 კარისა, როგორც ზემოდ არის ნათქვამი, კიდევ
 არის ორი მოშორებული საკურთხეველი, ცხოველ-
 მყოფელი სამების და ღირსი შიოს სახელობაზედ
 პატარა იკონოსტასებით. ეჭვს გარეშეა, რომ წმი-
 და შიოს დროს ეს საკურთხევლები იყვნენ მოხა-
 ტულნი; მაგრამ არის იმედი, რომ ახლო მომავალ-
 ში ისინიც იქნებიან მოხატულნი. შიგნივ ამ ტა-
 ძარში, იქ სადაც თავდება მისი წინა ნაწილი —
 ძველი და იწყება ახალი, სამხრეთის კედელთან
 შემოზღუდულია პატარა ადგილი, ასე მიხლოებით
 ერთი საყენი სიგრძით. აქ სრულდება პარაკლისი
 ღირსი შიოს სახელობაზედ და თავჯანსა სცემენ
 მის წმიდა ნაშთს ყველიერის ხუთშაბათს.

ტაძრის დასავლეთ ნაწილში სდგას კაკლის
 ხისაგან გაკეთებული ტახტრევანი (ბალდახინი),

რომლის ქვემოდ არის მთავარი სიწმინდე მონასტ-
 რისა — ღირსი შიო მღვიმელი მისი კუბოთი, ხუთი
 საყენის სიღრმეზედ; შესავალი ამ მღვიმეში ქვე-
 მოდან არის. აქ მარჯვნივ შესავალში უჩვენებენ
 ღირსი ევაგრის საფლავს. მღვიმეში სდგას ხის კუ-
 ბო, ღირსი შიოს გამოხატულებით, ფარჩით და-
 ფარული, ამ მღვიმეში სრულდება პარაკლისები
 მლოცველთათვის. სასიამოვნოა ამ პარაკლისებზედ
 დასწრება, უნებლიეთ მოგაგონებთ წინანდელი
 ქრისტიანობის ხანას, როდესაც ქრისტიანენი აკალ-
 დამებში ლოცვილობდენ. მღვიმედან თუხთმეტი
 ალაბის სიმაღლეზედ, პატარა ქის მსგავსად ამოჭ-
 რილში სჩანს გაუქრობელი კანდელი, რომელიც
 ტახტრევან ქვეშ ჰკიდია იოანე წინამორბედის ტა-
 ძარში. ღირსი შიოს კუბოსთან სანთელი ანთია,
 რომელიც ანათებს მღვიმეს და რაღაც საიდუმლო-
 ების შარავანდელს ჰფენს მას; ყოველივე ეს სასო-
 ვებით ავსებს მორწმუნეთა გულს, ჰფენს მათ სიხა-
 რულს და აძლევს იმედს ღირსი შიოსაგან ლოცვის
 მიღებისას, რომელიც ვითარცა მზის სხივი მოეფი-
 ნა ქართველთ საქრისტიანოს; ამ ტაძრის სამხრეთის
 მხრივ, გარედგან მოშენებულია საკურთხეველი,
 სადაც ერთ ხის ყუთში ჩაწყობილია ძვლები მრავ-
 ვალი ბერებისა, რომელნიც მოკლულნი არიან
 მონასტერში სხვა-და-სხვა დროს; ჩრდილოეთის
 მხრივ, შესავლის ახლო, ტაძარზედ მოშენებულია
 ძველი სამრეკლო, რომელიც ეხლა საცხოვრებელ
 ბინად არის გამხდარი. ტაძრის შესავალში დასვე-
 ნებულია წმინდა სამების ხატი სამი ანგელოზის
 სახით, რომელნიც აბრაამს გამოეცხადენ.

მეორე ტაძარი მონასტრისა, ღვთისმშობლის
 მიძინების სახელობაზედ, რომელიც აშენებულია
 საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლისაგან და
 განახლებულია გივი ამილახვარისაგან, განაცვიფ-
 რებს კაცს თავისი სიმდიდრით, — 15 ს. სიგძე, 9
 ს. სიგანიო და 18 ს. სიმალით, — და საოცარი
 გაბედული ხუროთ მოძღვრების გეგმით; იმას არ
 აქვს გუმბათი, სახურავი დახურულია რკინით იმ
 დროს, როდესაც შიო-მღვიმის მონასტერს მარ-
 თავდა ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი,
 განსვენებული კესარი. ამ ტაძარში სრულდებოდა
 მღვდელ-მოქმედება იოანე ნათლის მცემლის ტაძ-
 რის განახლებამდე, ამის განახლების შემდეგ კი,
 ფერისცვალების ტაძარში შესწყვიტეს მღვდელ-


*) იხ. „მწყემსი“ № 1—2, 1903 წ.



მოქმედება და შეუდგენ მის განახლებას. 1900 წელში ეს ტაძარი ახლად გალესეს გარედგან და შიგნივ; 1900 წელს სამხრეთის მხრივ მიკეთებულა კარები წაბლის ხისგან, თბილისის საკათედრო ტაძრის კარების მსგავსად და მოწყობილია ფარდული შესავალში. ამ ჟამად ამ ტაძრის მოხატვა აქვს აღებული იმ მოხელეს, რომელმაც იოანე ნათლისმცემლის ტაძარი მოხატა. ეს ტაძარი იქნება ნაკურთხი ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზედ, სამხრეთის მხრივ მოშენებული საკურთხეველი კი, ქართველთ მეფის დავით აღმაშენებლის სახელობაზედ, რომელმაც აღაშენა ეს ტაძარი და

აჩუქა მონასტერს ბევრი ადგილები. მთავარი სიწმინდე ამ ტაძრისა არის კუბო ნეოფიტე ურბნელისა, რომელმაც მე-VII საუკუნეში დასტოვა მაჰმადის სჯული და მიიღო ქრისტიანობა ამ ტაძარში, აღიკვეცა ბერად და შემდეგ მიიღო ურბნისის ეფისკოპოზობა; ეს კუბო მოთავსებულია სამხრეთის ბოძთან. მარცხნივ შესავალიდგან დასავლეთისაკენ, ამ ტაძარში იმყოფება კუბო 9 ძმათა ამილახვრებისა, რომლებიც დაიბოცნენ ამ მონასტრის დაცვის დროს მუსულმანთაგან.

რიცხვთა შორის მონასტრის ძველ შენობათა, არის შესანიშნავი საზოგადო სატრაპეზო ეკლესია



შიო-მღვიმის მონასტერი.

(общая трапезная), რომელიც ქვითკირის თაღით არის მიშენებული სამხრეთის მხრით იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაზედ. ეს შენობა სიგრძით არის ცხრა საეენი, სიგანით სამი საეენი და სიმაღლით ხუთი საეენი, ამ შენობიდან შედიან დღეს შიოს მღვიმეში მისი საფლავის თაყვანის საცემლად. ეს ეკლესიაც შემდეგ ძველი შენობებისა, არის აგებული საქართველოს კათალიკოსის ნიკოლოზი-

ზისაგან. სამწუხაროდ ეს ეკლესიაც ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ მომავალი წლიდან ამის განახლების საქმესაც შეუდგებიან ღვთის შეწევნით. უმთავრეს მონასტრის ეზოში არის ძველის-ძველი სამრეკლო.

დკე. დ დამაშაძე.
(გაგრძელება იქნება).

«მწუხმის» კორუმპონენციები.

კუდაროს ხეობა. კარგად მოეხსენებათ მკითხველებს, რომ კუდაროს ხეობა შეადგენს რაჭის მაზრის ნაწილს და მდებარეობს დაბა ონიდან აღმოსავლეთისაკენ 30 ვერსის მანძილზედ—მამისონის მთების ახლოს და ერწოს (გორის მაზრა) დიდი მთის გადასავალში. ეს ხეობა ოთხივე კუთხით გარეშემოზღუდულია დიდრონი მთებით, რის გამო აქ იცის გრძელი და ცივი ზამთარი. ამ ხეობაში ცხოვრობენ ოსები ყველა ერთის წოდებისა, უსწავლელნი და ღარიბნი. მცხოვრებთა რიცხვი შეადგენს 340 კომლზე მეტს. კუდაროს ოსები, როგორც სხვა მთის ხალხი, ინახავენ მსხვილ და წვრილ-ფეხ საქონელს, რომელიც შეადგენს მათს სიმდიდრეს. ადგილები თუმცა ბევრი უჭირავს ხალხს, მაგრამ უმეტესი ნაწილი უფარგისია ხენა-თესვისათვის. ასე რომ ზოგიერთა ადგილი თესლსაც აღარ იძლევა; ნახევარი წლის სარჩო არ მოდის ხალხს და ამ დროს განმავლობაში სულ ნაყიდ ჭინახულით ირჩენენ თავს. ბევრ ოსს მოსწყინდა აქ ცხოვრება, ველარ აიტანა სიღარიბე და გადასახლდნენ კახეთში სამუდამოდ. წრევანდელმა ზამთარმა მეტად შეაწუხა კუდაროს ოსები, არამც თუ ოსები, არამედ, როგორც მესმის მთელი რაჭის მაზრის მცხოვრებნი, ალაგ-ალაგ ჭირნახულის ნაკლებულობას ამბობენ და ყველგან კი საქონლის საკვებისას. თოვლი დიდი მოვიდა ჩვენს ხეობაში, საშინელი ცუდი ტაროსებია, დასავლეთის შეუწყვეტელმა ცივმა ქარებმა შეგვაწუხა. თოვლი ოთხი არშინია აქ და კიდევ ყოველ დღე უმატებს. გიორგობის თვიდან დაწყებული, გადის აგერ თებერვალი და ერთი დაწყნარებული ამინდი არ გვინახავს კუდაროს ხეობაში; ყოველ დღე ცივი ქარია, თოვა და კორიანტელი დგას, გვიჭირს გარედ გამოსვლა. გზები შეკრულია დიდი თოვლისა და ზეავებისა გამო, მისვლა-მოსვლა შეუძლებელი შეიქნა, საქონელი იხოცება შიმშილისა გამო, ხალხს ბევრგან შივა უდაფქულობისა გამო, ვინაიდან წისკვილები უდროვო დროს დაიყინა. უშეშობამ კიდევ უარესად ჩაგვყარა განსაცდელში, ზურგით ზიდვენ ნელდ ფიხნებს საწყალი ოსები და ისე აფუფულდებენ ცეცხს. სტირიან ოსები და მეუბნებიან: „მამაო! როდის

უნდა დადნეს ამოტელა თოვლი, როდის მოვა გაზაფხული, ყანების გარიღებას ველარ მოვესწრებით, დავრჩებით უხნავ-უთესი და რითი უნდა ვირჩინოთ თავი, ცოლ-შვილი და რითი გამოვკვებოთ საქონელი, რაც ამ ზამთარს გადაურჩებაო“. მოხუცებულნი ოსები მეტყვიან ხოლმე, რომ ასეთ ცუდს და მავნებელ ზამთარს არ მოვესწრებივართო, ღმერთი ურისხდება ალბად ცოდვილ ხალხს, თორემ ეს რა ამბავიაო. მეც ეს თოთხმეტი წელიწადია ვმსახურებ ამ ხეობაში და ამისთანა ცივს და თოვლიან ზამთარს არ შევესწრებივარ. სწორედ გამიჭირდა ამ ზამთარში აქ, სულ ფეხით სიარული მხვდება შორს სოფლებში, ცხენის გზები აღარ არის, საქვეითო გზებიც არ ვარგა, სამ-სამი ხან ოთხი დღე დავემწყვდები ხოლმე სოფლებში უგზოობისა და ცუდი ტაროსებისა გამო. მე და ჩემს მედავითნეს თითო ცხენი გაგვაჩნია აქ და ისინიც შიმშილით გვეხოცებიან, საკვებს ველარა ვმოვობთ. თვითონ ოსებს უჭირთ, ჩვენ რას მოგვყიდინა. გვცივა და გვშიან.

ცუდს, სწორედ ცუდს მდგომარეობაში ვართ ამ ზამთარს კუდაროში, როგორც მწყემსნი, ისე სამწყსონი.

მლ. ექვთიმე მაისურაძე.

მ ა ც ხ ო ვ ა რ ს

(აღსარება).

სადაც ხალხი ძმურად სცხოვრებს
ძმურადა სწევს შრომის უღელს,
იქ სიკვდილი მირჩენია,
სადაც არა,—იქ სიცოცხლეს.

მაგრამ ვიცი მაცხოვარო,
რომ ჩემს მიზანს ვერ მიგსწვდები,
იმიტომ რომ მრწამს ასეთ ხალხს
მე ამ ქვეყნად ვერ შევხვდები.

ქაიხოსრო გელაგანი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * შარშან ქუთაისის გუბერნიის თავად-ახნაურთა წინამძღოლმა შუამდგომლობა ადრძა მთავრობის წინაშე, რომ კადეტთა კორპუსებში სასკელმწიფო სარჯით იღებდნენ სამეგრელოს იმ თავად-ახნაურთა შვილებთან, რომელნიც ჯერ დამტკიცებულნი არ არიან ამ წოდებაში, მაგრამ საფასხა სიებში შეტანილნი არიან, როგორც თავადნი და ახნაურნი. ახლა გ. ა. „გაგაკაზ“-ი იტყობინება, რომ სამეგრეო მინისტრს განუმარტავს: კადეტთა კორპუსებში მიიღებიან მხოლოდ იმ თავად-ახნაურთა შვილები, რომელნიც სასკელმწიფო სამსახურში ყოფილან ან რომელნიც დამტკიცებულნი არიან ამ წოდებაში; ამიტომ ქუთაისის თავად-ახნაურთა წინამძღოლის შუამდგომლობა შეწყნარებული ვერ იქნება.

* * * „ცნობის ფურცელ“-ში ვკითხულობთ: „სისიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ მკითხველთ: ცნობილმა ქართველმა ქველ-მოქმედმა სტ. კონ. ზუბალაშვილმა 50 ათასი მანეთი შესწირა სათავად-ახნაურთა სკოლის შენობას. როგორც ვიცით, ამ შენობის ორი საბინო უბანი მზად არის და ბ. ზუბალაშვილის შეწირულების შემდეგ საქმე უფრო ცოცხლად წავა. იმედა, თავად-ახნაურობაც და ჩვენი შეძლებულნი კერძო პირნიც ხელს შეუწყობენ შენობის დამთავრების საქმეს.

* * * ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოწაფეთა ერთი ჯგუფი ამ დღეებში მიემგზავრება პრაქტიკულ ვარჯიშობისათვის თავ. ერისთვის მამულში; მოწაფენი შეუდგებიან ვენახის გასწავლას.

* * * სენატში დასრულდა ერთი მეტად საუკრადღებო საქმის განხილვა. ამ რამდენისავე ხნის წინად მინისტრებმა შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სეროკანთლების და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორმა ერთმანეთთან შეთანხმების შემდეგ დახურეს შურნალი „ნოვოე სლოვო“. ამის გამო შურნალის გამომცემელმა მ. ნ. სემენოვმა საჩივარი ადრძა დასახელებულ მინისტრების და ობერ-პროკურორის წინააღმდეგ. გამომცემელი უჩიოდა მინისტრებს უკანონო მოქმედებას, რადგან შურნალს არც ერთი კაბრთხილება არა ჰქონდა გამომცხადებული და მაინც დასურეს; ამასთან გამომცემელი 80 ათას მანეთის ზარალსაც ედაგებოდა მინისტრებს და ობერ-პროკურორს. ამ საჩივრის გამო განმარტების დროს

იუსტიციის მინისტრმა და ობერ-პროკურორმა განაცხადეს, რომ შურნალის დაკეტვა უმადესის მოწონებით მოხდა. ამ განცხადების შემდეგ მომხივნის ვეჭილმა საჩივარზე ხელი აიღო, მაგრამ შემდეგ, 1900 წელს, ხელ-ახლა ასტეხა დავა ზარალის ანაზღაურების შესახებ. ამ მეორე საჩივარში აღნიშნული იყო, რომ მინისტრებმა თავიანთი გადაწყვეტილებას დროზე არ გამოამცხადეს და ამას კარდა, „ზრავ. ვესტ.“-ში არ იყო გამოქვეყნებული, რომ უმადესის სურვილის თანახმად იხურება გაზეთი. ეს საჩივარი განიხილა სენატის პირველმა დეპარტამენტმა, მაგრამ არ შეიწყნარა. სასწავლაციო საჩივარი გადატანილ იქნა ვეველ დეპარტამენტების საერთო კრებაში, მაგრამ სენატმა სასწავლაციო საჩივარიც უუურადღებოდ დასტოვა.

* * * 20 თებერვალს „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამკეობის მინდობილობით, თავმჯდომარემ გაუგზავნა ბარათები საზოგადოების აგენტებს კავკასიის სხვა-დასხვა ქალაქებში და, აცნობა რა იმ წევრთა გვარები, რომელთაც საწევრო ფული როგორც წინად, ისე წელს ჯერ არ შემოუტანიათ, სთხოვა ეცადნენ საწევრო ფულის შეკრებას და დროზე გამოგზავნას. თავმჯდომარე, სხვათა შორის, სწერს აგენტებს, რომ წევრებს საწევრო ფულის გადახდა შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც. გამკეობა იმისაც სწერს აგენტებს, ეცადნენ ახალი წევრები მოუპოვონ საზოგადოებას და შემოწირულებანი მოჰკრიფონ.

* * * რადგანაც კახეთში და სხვაგანაც ვაჭარ-ჩარჩებმა ხელში ჩაიგდეს ვენახისათვის საჭირო წამლები და იარაღების ვაჭრობის საქმე, საფილექსერო კომიტეტმა გადასწყვიტა დიდის სიბრთხილით და არჩევით გაიცეს მოწიბობა საზღვარ-გარეთიდან ამ წამლების გამოწერილობისათვის. თავის მხრით კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გამოიწერა დიდი ზარტია შაბაიანისა და გოგირდისა. ამ ყამად ამ საზოგადოებაში ფუთი შაბაიანი იხუიდება 4 მანეთად და ერთ აბაზად, გოგირდი—1 მან. 70 კაპ.

* * * 6 მარტს იმერეთის კუბიკაზლის ლეონიდის წინადადებით ეგირილასში ექნებოთ კრება შორახნის მარხის ბლადღჩინებს და თითოეული საბლადღჩინოდან მოწვეული იქნება ორი-სამი ნასწავლი მღვდლები. კრებაზე ექმნებოთ ბასი ღვთის-მისხურების კრეშე საუბრების გამართვასე ეკატესიებში. ამ კრებას მათი მუუფებაც დაესწრება. ძლიერ სისიამოვნო არის მათი მუუფების განზრახვა და ეკვი არა ვაქვს, რომ ამისთანა კრება დიდ სარკებლობას მოიტანს სამწესოთათვის.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

ს ი ტ უ ვ ა,

თქმული 14 იანვარს თფილისის კათ. სიონის ტაძარში.

გრწმენინ ღმერთისა და გრწმენინ ჩემდა მიმართ; თვინიერ ჩემისა არა ძალგიდსთ ყოფად არცა ერთი (იოან. 14, 1. 15. 5).

სარწმუნოება და ზნეობა ძლიერ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი; სადაც ერთი არ არის, იქ მეორეს ადგილი არასოდეს არ ექნება; მეორე ამათგანი არის შედეგი პირველისა. სარწმუნოება ისე დაკავშირებულია ზნეობასთან, როგორც ხე თავის ნაწილებთან. სარწმუნოება უზნეობით, როგორც ხე უხეცვით; სიყვარული უსარწმუნოებოთ, როგორც ხე უფესვებოთ მოგლეჯილი. რამდენადაც ფესვები ღრმად არიან გამჯდარნი დედამიწაში, იმდენად მაგრად დგას ხე, უკეთესად იზრდება იგი და უფრო კარგ ნაყოფსაც იძლევა. რამდენათაც უფრო მწვანე და სალი არიან ფურცლები ხეზე, იმდენად, სხანს, ფესვები კარგნი არიან, უფრო მეტ საზრდოს აძლევს მათ ნიადაგი და ხე კარგად იზრდება. როცა ფურცლები გაყვითლდებიან, ჩამოცვივდებიან, შტოები გახმებიან, ეს იმის ნიშანია, რომ ფესვებს ლბობა შეპარვია. ხეს რომ ფესვები დააჭრა, მაშინვე გახმება. ამნაირივე დამოკიდებულება აქვს ერთმანეთში სარწმუნოებასა და ზნეობას. რამდენათაც შეურყეველია ჭეშმარიტი სარწმუნოება, იმდენად მაღლა სდგას ზნეობა. ამისათვის ღმერთმა ძველ-აღთქმაშივე—ათ მცნებაში ერთად მოათავსა სიყვარული ღვთისადმი და სიყვარული მოყვისადმი. ახალ-აღთქმაში უფრო გარკვევით არის გამოთქმული ეს აზრი. ვისაც ღმერთი არ უყვარს, მას არც

მოყვასი უყვარს. იესო ქრისტემ სიყვარული ღვთისადმი და სიყვარული მოყვისადმი ისე დაგვისახა, როგორც რომ ორი უპირველესნი ერთმანეთისაგან განუშორებელნი, ყოველი კაცისათვის სავალდებულო მცნებანი (მათ. 22, 36—40). სადაც ერთია, იქ მეორეც უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი არ იქნება. „არა ყოველმან, რომელმან მრქვას მე: უფალო! უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა“, ამბობს მაცხოვარი (მათ. 7, 21). „ვითარცა ხორცი თვინიერ სულისა მკვდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არიან“, სწერს იაკობ მოციქული (2, 26). „ჩვენ სულითა სარწმუნოებისაგან სასოგბსა სიმართლისასა მოველით, ქრისტე იესოს მიერ შემძლებელ არს სარწმუნოება სიყვარულისაგან შეწვენილი“, გვეუბნება მეორე მოციქული (გალ. 5, 5, 6). კეთილად ცხოვრება შესაძლებელ არს მხოლოდ მორწმუნე კაცისათვის. „გრწმენინ ღმერთისა და გრწმენინ ჩემდა მიმართ, თვინიერ ჩემისა არა რა ძალგიდსთ ყოფად არცა ერთი“, ამბობს მაცხოვარი (14, 1. 15, 5). თუ კაცს იესო ქრისტე არა სწამს, არ შეუძლია შეასრულოს როგორც რიგია, რომელიმე კეთილი საქმე“, მოწმობს წმ. ვასილი დიდი.

თუ ასე არის, თუ ზნეობა პირდაპირ დამოკიდებულია სარწმუნოებაზე, როგორიც სარწმუნოებაა ისეთი ზნეობაა, რითი უნდა ავხსნათ ეხლანდელი სიწამბდრე, გარყვნილება, მტრობა, ქიშპობა, ერთმანეთის გაუტანლობა და ყოველივე სიბოროტე თუ არ სარწმუნოების დაცემითა. ჩვენ დროში აღარა სწამთ, აღარა აქვთ შიში ღვთისა ისე, როგორც ჩვენ წინაპართ ჰქონდათ. რომ ზნეობა აღდგენილ იქმნეს და განსპეტაკდეს, მიუცილებლად საჭიროა შერყეული სარწმუნოება განმტკიცებულ იქნეს. ამ შემთხვევაში დიდი, მეტად დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ჩვენ დედებს. დედებმა უნდა აღადგინონ სარწმუნოება; ახლანდელმა ქალებმა უნდა წაბაძონ უწინდელ დედებს, მაშინ მოგვეცემა მორწმუნე—ზნე-დაკული ახალ-გაზღობა. ჩვენ ვჩივით, ზნეობა დაეცაო, ის სიწმიდე ოჯახისა, ის ურთიერთ შორის დამოკიდებულობა, როგორიც იყო წინად, აღარ არისო. მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე? მგონი ყველაზე მეტად ისინი, ვის ხელში-

დაც არის პირველ-დაწყებითი აღზრდა ყოველი ახალ-თაობისა, ე. ი. დედები. მათზე ახლოს ვინ სდგას ბავშვებთან, მათზე მეტს გავლენას ვინ იქონიებს ყრმებზე. ჯერ დედები უნდა იქმნენ ზნე-დაცულნი და მერე შვილებიც ისეთნი გამოვლენ. ამისათვის კი საჭიროა, რომ დედები იყვნენ თავდაპირველად მორწმუნენი, მოშიშნი ღვთასა. სადაც სარწმუნოება არ არის, იქ ვერც ზნეობა მოიკიდებს ფეხს. ჩვენ დედებს თვალის წინ უნდა ჰყავდესთ და ყოველთვის ბაძავდნენ იმ პირთ, რომელნიც მოხსენებულნი არიან საღმრთო წერილში და წმიდანების ცხოვრებაში. ჩვენ ვიცით, მაგ. თუ როგორი მორწმუნე ადამიანი იყო ღვთისმშობელი, რომელმაც დაც არის ნათქვამი: „ნეტარ არს, რომელსა ჰრწმუნეს, რამეთუ იყოს აღსრულება თქმულთა მათ მისა მიმართ უფლისა მიერ“ (ლუკ. 1, 45); ელისაბედი, დედა იოანე ნათლის-მცემლისა, რომელმაც დიდის კრძალვით და შიმ ქვეშ მიიღო ღვთისმშობელი და წარმოსთქვა: „ვინა ჩემდა ესე, რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა“ (ლუკ. 1, 43). და ამით ადამიანთაგან-მან ყველაზე უწინ ახარა, აუწყა ქვეყნიერებას იესო ქრისტეს დაბადებაზე. მარიაში და ლაზარესი, რომელსაც უყვარდა იესო ქრისტესთან ახლო ჯდომა და გულსმოდგინედ მისი სწავლის მოსმენა. „დაჯდა ფერხთა თანა იესოსა და ისმენდა სიტყვათა მისთა“ (ლ. 16, 39). აგრეთვე მეორე და მართა, რომელიც იესო ქრისტეს დარიგების შემდეგ, რომ კაცმა მეტი უნდა იზრუნოს ღვთის სიტყვის გაგონებაზე, მოსმენაზე, ვინემ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე, ჩახვდა გონებაში და სულ სხვანაირად სჯიდა მას აქეთ, როგორცა სჩანს მის მიერ მაცხოვრის მიმართ წარმოთქმულ სიტყვებიდან, როცა ძმა მისი ლაზარე გარდაიცვალა (იოან. 11, 21—27). ავიღოთ თუ გინდ მენელსაცხებელნი, რომელნიც სანამ იესო ქრისტე იყო დედამიწაზე და ასწავლიდა, არ შორდებოდნენ მას, და როდესაც ჯვარს აცვეს და დამარხეს, დაამზადეს ნელსაცხებელი და წარვიდნენ, რათა მათი მაცხოვრის გვამი შეემურვათ. გავიდნენ თუ არა სასაფლაოსთან, ნახეს ლოდი გარდაგორებული და გვამი იესოსი კი ვერ ჰპოვეს, რამაც ძლიერ განაცვიფრა ისინი. ამ დროს გამოეცხადება მათ ანგელოზი და აუწყებს, რომ ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და უბრძანებს ამაზე სხვებისათვის შეეტყობინებიათ მათ. „წარვედით და უთხარით მოწა-

ფეთა მისთა, ვითარმედ აღსდგა მკვრეთით და აჰა წინა გიძღვისთ თქვენ გალილიას, მუნ იხილოთ იგი. აჰა ესერა გარქუ თქვენ (მათ. 28, 6—7). მენელსაცხებელთ გაეხარდათ ასეთი ამბავი, მაგრამ თან შეეშინდათ და რადგან შიშის ძალა მეტი იყო, ვერ გაბედეს ვისთვისმე რამე ეთქვათ. „ვითარცა ესე ესმით, გამოვიდეს და ივლტოდეს მიერ საფლავით, რამეთუ შეძრუწუნებულ იყვნეს და დაკვირვებულ და არავის უთხრეს, რამეთუ ეშინოდათ“ (მარ. 16, 8). მაგრამ ყველაზე უწინ იესო ქრისტე ამათ გამოეცხადება და კვლავ განუმეორებს, რაც მათ ანგელოზისაგან გაიგონეს: „ნუ გეშინიან, წარვედით და უთხარით ძმათა ჩემთა, რათა წარვიდენ გალილიას და მუნ მიხილონ მე“ (მათ. 28, 9—10). ამას შემდეგ მენელსაცხებელთ აღარ შეშინებიათ და მართლაც გაემგზავრნენ ეხარებიათ მოწაფეებისათვის მაცხოვრის მკვრეთით აღდგომაზე; ერთი მათგანი, მარიამ მაგდალინელი მეფის ტიბერიის წინაშეც კი გამოეცხადდა და უშიშრად აუწყა მას ამაზე, რისთვისაც მიიღო წოდება მოციქულთა სწორისა. იყვნენ სხვანიც, რომელთაც წაბაძეს მარიამ მაგდალინელს და ღვთისაგან მოწოდებულ იყვნენ მოციქულობის ღვაწლის შესრულებისათვის, როგორც მაგ. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი, მოციქულთა სწორად წოდებული; ან კიდევ წმ. თეკლა, ელენე, ოლლა და სხვანი. აქ შეიძლება გვითხრან, ქალების დანიშნულება სრულებითაც არ არის ქადაგება, მოძღვრება და თუ იყვნენ ზოგიერთნი გამორჩეულნი ღვთისაგან და მოციქულობა გასწიეს და მით სახელი დაიმსახურეს, მათი რიცხვი ისე მცირეა, რომ არ შეიძლება კაცმა ეს მოწოდება საზოგადოდ ყველა ქალთათვის დასახოს. მართლაც იესო ქრისტემ მოუწოდა მოციქულებად მხოლოდ მამა-კაცთა და მათი მოადგილენი მხოლოდ მამაკაცი იყვნენ; როცა საჭიროება მოითხოვს ყოველთვის დედაკაცს არ შეუძლია მაგ. ტაძარში შევიდეს, ზოგჯერ მას აკრძალული აქვს ტაძრის კარის ზღუდეზე გადაბიჯოს. პავლე მოციქული პირდაპირ უკრძალავს ქალთა ეკკლესიებში ქადაგებას: „დედანი ეკკლესიასა შინა ჰსდუმნენდ, რამეთუ არა ბრძანებელ არს მათდა სიტყვად... საძაგელ არს დედათა ეკკლესიასა შინა ზრახვად“ (1 კორ. 14, 34, 35). მაგრამ, კეთილ-მორწმუნენო მსმენელნო, განა უსათუოდ მისიონერები უნდა იყვნენ, უსათუოდ

მოციქულებსავე უნდა იმოგზავრონ და უქადაგონ ხალხს ჩვენმა დედებმა, რომ თვისი ზემოაღნიშნული დანიშნულება—სარწმუნოების გავრცელება და აქედგან ზნეობის დამყარება საზოგადოებაში შეასრულონ? სრულებითაც არა. მათთვის უკეთესი ადგილი და დრო მიუცემია ღმერთს ამ მიზნის მისახვევად. ღრმად მორწმუნე ქალებს, ქრისტიანებს შეუძლიათ ოჯახებში იყვნენ, თავიანთ ქმარ-შვილში იტრიალონ, მისიონერების დეაწლი, შრომა არ გასწიონ, მაგრამ თუ მეტად არა, არა ნაკლებ გავრცელონ ქრისტეს სწავლა კაცობრიობაში თვისი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ზედ-მოქმედებით, გავლენით. პირველ საუკუნოებში, როდესაც ახლად ვრცელდებოდა ქრისტიანობა, ხშირად, ძალიან ხშირად ცოლი ქრისტიანი იყო და ქმარი წარმართი. მაგრამ ცოლებს ნებას არ აძლევდნენ მიეტოვებიათ ქმრები, თუ თვითონ ქმრები მათ არ დაათხოვდნენ, არ განდევნიდნენ თავიანთ სახლებიდან. პეტრე მოციქული აი რას ეუბნება ცოლებს—ქრისტიანებს მათთა კერპთაყვანისმცემელთა, ურწმუნო ქმართა შესახებ: „ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა, რათა დაღათუ ვინმე ურჩ არიან სიტყვისა მის, დედათა სლვისა მისგან, თვანიერ სიტყვისა შეიძინენ, ხელვიდენ რა იგინი შიშითა წმიდასა მას სვლასა თქვენსა“ (1 პეტ. 3, 1, 2). ე. ი. ქმრები წარმართნი, თუმცა ქადაგებას, მოძღვრებას ყურს არ უგდებდნენ, მაგრამ მიმხედვარე ცოლების—ქრისტიანების წმიდა ცხოვრებას ძალა-უნებურად სტოვებდნენ კერპთაყვანისცემლობას და იღებდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ამისათვის ამათს პავლე მოციქული: „განიწმიდების ქმარი იგი ურწმუნო ცოლისა მისგან მორწმუნისა და ცხონდის“ (1 კორ. 7, 14, 16). როგორც სხვა შემთხვევაში, ისე აქ მაგალითს თვით ცხოვრებას მეტი გავლენა აქვს კაცის გულზე, ვინემ სიტყვებს. ნონამ თვისი ქმარი პატრიცი, რითი მოაქციეს, დააყენეს ჭეშმარიტ გზაზე, თუ არ თვისი სამაგალითო ცხოვრების ზეგავლენით? ჭეშმარიტ სარწმუნოებას ძალუძს დასძლიოს ურწმუნოება: „რამეთუ ყოველი, რომელი შობილიყოს ღმრთისაგან, ჰსძლევს სოფელსა და ესე არს ძლევა“ (იოან. 5, 4).

რაც შეეხება შვილების აღზრდას, ვისგან აღიზარდნენ ისეთნი მნათობნი, როგორც იყვნენ ბასილი დიდი და იოანე ოქროპირი, თუ არ დედებისაგან? ერთი გამოჩენილი მსწავლელი ამბობს, რომ დედების დანიშნულება საზოგადოებაზე სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ზედმოქმედებაში იმყოფებაო. მოიგონებს რა მჭერმეტყველ ლიბანის, რომელმაც ქრისტიანების დაუძინებელ მტრის იმპერატორის იულიანეს დროს განცვიფრებით წარმოსთქვა: „როგორი ქალები ჰყავსთ ამ ქრისტიანებს!“, ნატრულობს ის, რომ ეხლანდელმა ლიბანებმაც დაინახონ ასეთივე დამხობა ჩვენი წარმართობისა, უკუღმართობისა, სიწამხდრისა ჩვენი დედების მტკიცე რწმენის მეოხებით და იძულებულნი შეიქნენ მათ შესახებ წარმოსთქვან: „როგორი დედები ჰყავსთ ამ ქრისტიანებს!“ რასაკვირველია ამისათვის საჭიროა, რომ ქალებმა შესაფერი განათლება მიიღონ და კარგად ესმოდეთ, რაცა სწამთ. თუმცა ძნელია ეს, მაგრამ თვით უფალი ჩვენი, რომელმაც ყველას ჩვენ მოგვცა გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთი (1 იოან. 5, 20). და რომლისათვისაც არა არს რჩევა მამა-კაცისა, არცა დედა-კაცისა, არამედ ერთი ვართ ქრისტე იესოს მიერ (გალ. 3, 28). თვისთა მადლითა განანათლებს ქალთა თანასწორ მამაკაცთა და მისცემს მათ ყოველსა სიმდიდრესა გულსავებისასა და გულისხმისყოფისასა მეცნიერებად საიდუმლოს მას ღმრთისასა (კოლ. 2, 2). განათლებული ქალნი ყოველთვის მზად იქნებიან «სიტყვის მიგებად ყოველსა, რომელ ეძიებდეს მათგან სიტყვასა მათ შორის სასოებისა მისთვის სიმშვიდით და შიშით» (1 პეტ. 3, 15). მერწმუნეთ ამნაირ მორწმუნე, ზნე-დეცულ და განვითარებულ დედებს ისეთი გავლენა ექნებათ ყველაზე, რომ რაც უნდა დიდი ადგილი ეჭიროს მამაკაცს, ყოველთვის მზად იქნება მათ წინ თავი მოიხაროს და თაყვანი სცეს. ამინ.

წინამძღვარი დკ. მ. ტეჟადაძე.

რედაქტორ-გამომცემელი დკ. დ. ლაბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
 Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 28 февраля 1903 г.

Типог. редакція журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.